ოქმი:**ო03.37222421**

თარიღი:**30/08/2022**

ოქმი № 18

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2022 წელი, 29 აგვისტო

ქ.ოზურგეთი

12.30-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ:კომისიის წევრები: ე. გორდელაძე, ნ. ღაჟონია, ს. ქარცივაძე, ბ. თოიძე, ბ. მელუა, გ. შარაშენიძე, ტ. აროშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

სხდომის თავმჯდომარემ, გ. ჩავლეშვილმა, ვრცლად ისაუბრა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტზე, აღნიშნა, რომ იგი მიზნად ისახავს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ზრუნვის სისტემიდან გასული პირები, მრავალშვილიანი ოჯახები, მარჩენალდაკარგული პირები, მარტოხელა მშობლები, ახალგაზრდები, მარტოხელა ხანდაზმული პირები, ოჯახური პირობების გამო, დიდი ხნის მანძლზე დაუსაქმებელი დიასახლისები, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კოხფლიქტში მყოფი პირები და ა.შ) ჩართულობას სოციალური მიზნების მქონე სხვადასხვა პროექტებში, ასევე, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების გახვითარების ხელშეწყობას. გ.ჩავლეშვილმა აღნიშნა, რომ საკითხი, საკრებულოს გადაწყვეტილებით იდგა საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე, რომლის დროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ- საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი- წარმოადგინა პროექტში ცვლილებების შეტანის მიზნით წინადადებები, შემდეგ კომისიის წევრებს კონკრეტულად გააცნო ეს წინადადებები. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება პროექტში შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილებები და წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გადაწყვიტეს:

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსების პროგრამის განხორციელების შესახებ“ შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი